ხელშეკრულება № 99

ქ. თბილისი 16 დეკემბერი 2019 წ.

ერთის მხრივ, შპს „თბილსერვის ჯგუფი“, წარმოდგენილი დასუფთავების სამსახურის უფროსის დავით უკლებას სახით (საფუძველი: შპს „თბილსერვის ჯგუფი”-ს დირექტორის ბრძანება N02480 18.10.2016 წ.) შემდგომში წოდებული როგორც “შემსრულებელი” და მეორის მხრივ შ.პ.ს. „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური“ (შემდგომში – შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის როლა შავლაყაძის (ს/კ 202887787) სახით, შემდგომში წოდებული როგორც “დამკვეთი”, ორივე ერთად კი მხარე/მხარეები ხელშეკრულების კონტექსტიდან გამომდინარე, საქართველოში მოქმედი კანონებისა და კომპანიის საქმიანობის მარეგულირებელი შიდა აქტების შესაბამისად, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი.

1.შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი შემოსავლების ფარგლებში. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის I პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ***<u>ნარჩენებსა და ნაგავთან დაკავშირებული მომსახურობები (CPV– 90500000)-ის</u>*** შესყიდვაზე. მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გადაიხადოს ზემოთაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ 513 (ხუთას ცამეტი) ლარი.

მუხლი 2. ხელშეკრულების პირობები

2.1 შემსრულებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად მოემსახუროს დამკვეთს.

2.2 დამკვეთი ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და განსაზღვრული პირობებით გადაუხადოს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 შემსრულებელი ვალდებულია:

3.1.1 დროულად და ხარისხიანად განახორციელოს 1.1 მუხლში აღნიშნული მომსახურება.

3.2 შემსრულებელს უფლება აქვს:

3.2.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში დამკვეთისაგან მოითხოვოს მომსახურების ღირებულების დროულად გადახდა.

3.2.2 დამკვეთისაგან მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.3 დამკვეთი ვალდებულია:

3.3.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით გადაუხადოს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება.

3.4 დამკვეთს უფლება აქვს:

3.4.1 მოითხოვოს შემსრულებლისაგან უხარისხოდ გაწეული მომსახურების გამოსწორება.

3.4.2 მოითხოვოს შემსრულებლისაგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.4.3 შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში წერილობითი ფორმით ან ცხელი ხაზის მეშვეობით (ტელ: 2619050.) აცნობოს შემსრულებელს.

3.5 მხარეები ვალდებულნი არიან დროულად და ჯეროვნად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 4. ანგარიშსწორება და ხელშეკრულების ღირებულება

4.1. გასაწევი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

4.2 პოლიგონზე გასანადგურებლად გადასაზიდი ჩამოწერილი ინვენტარის მომსახურების ღირებულება შეადგენს 513 (ხუთას ცამეტი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.3 ხელშეკრულების საფუძველზე პოლიგონზე გასანადგურებლად გადასაზიდი ჩამოწერილი ინვენტარის საერთო რაოდენობა და გაწეული მომსახურების ჯამური ღირებულება ფიქსირდება მხარეთა მიერ შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტში.

4.4 შემსრულებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის უფლებამოსილ პირად განისაზღვროს შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს თანამშრომელი იოსებ მამადაშვილი (პ/ნ 01012000173)

4.5 დამკვეთი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა ჩარიცხოს თანხა შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **2019 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

5.2 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებთ ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესასრულებელი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან.

მუხლი 6. სადავო საკითხების მოგვარება

დამკვეთსა და შემსრულებელს შორის წინამდებარე ხელშეკრულების რეალიზაციისას წარმოშობილი სადავო საკითხები წესრიგდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს სასამართლო.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა მუხლი და დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რომელიც უნდა იყოს წერილობითი. ზეპირ გარიგებებს ძალა არა აქვთ.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია და ხელმოწერილია ელექტრონულად.

საბანკო რეკვიზიტები:

შ.პ.ს "თბილსერვის ჯგუფი" მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №67 საიდ. კოდი: 206267494 ს.ს "ლიბერთი ბანკი" ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: LBRTGE22 ა.ა. № GE90LB0113172770216000	შ.პ.ს. „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური" ქ. თბილისი, დ.უზნაძის 45 ვითიბი ბანკი ჯორჯიას ც/ფილიალი კოდი : UGEBGE22 ა/ა : GE67 VT 66000000 19467434 ს/კოდი : 202887787

შემსრულებელი	**დამკვეთი**
შპს „თბილსერვის ჯგუფი" დავით უკლება	გენერალური დირექტორი : როლა შავლაყაძე